ცნობის ფურცელი

№ 215 | კვირა, 18 მაისი | 1896—1903 | ყოველ-დღიური გაზეთი | № 2154

[illegible]: წლიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—5 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ოთხსვეტიანი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვაჩნაძის ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ეკზარხოსის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

ამ ნომერთან ხელის მომწერთ ეგზავნებათ „სურათებიანი დამატების" მე-119 №-რი.

სპირიდონ გიორგის ძე სიხარულიძე, ივანე როსტომის ძე მიქაძე, ივდითი მ. მიქაძისა და ელენე მ. გაბუნიასი ულრმესის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ—პირველის ძვირფასის ძმის, მეორის ცოლის ძმის, ხოლო მესამის და მეოთხის ძვირფასის ბიძის

იორდანე გიორგის ძის სიხარულიძის

ორმოცის წირვა და პანაშვიდი დანიშნულია 18 მაისს ქ. ტფილისში, ქვაშვეთის წმიდა გიორგის ეკლესიაში, და სოფელ ერკეთში, 25 მაისს თავისს ეკლესიაშივე.

20 მაისს სოფ. ტირძნისში

თინათინა ალექსანდრეს ასულის ეგაძის

გარდაცვალების მეორმოცე დღეს გარდახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი. (1—88—1)

უმთავრესი კანტორა დ. ზ. სარაჯიშვილისა ქ. ტფილისში აცხადებს, რომ საუკეთესო ვენახების

კახურის ღვინის

შესანახად და დასაძველებლად, 1903 წლის 1 იანვრიდან დაქირავებულია სარდაფები **პეტრუსა მაკაროვისა**. კანტორა და მაღაზია ღვინის ვაჭრობისა იმავე სახლშია (ოლგას ქუჩა, ტელეფონი № 150).

ღვინოები ისყიდება ბოთლი 25 კაპ. დაწყებული.

ნარდად მსყიდველთ და მუდმივ მუშტარს ნაკლებად მიეცემა; ათ ბოთლზე ნაკლები თუ არ მოითხოვა მუშტარმა, ღვინოს კანტორა სახლში თვითონვე მიუტანს.

ღვინო იყიდება:

საწყობში—გოლოვ. პროს. სახ. დობრჟანსკისა, ტელეფ. № 595.

დეპო № 1, სასახლის ქუჩა, საკუთარი სახლი, ტელეფ. № 60.

დეპო № 2, თავ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ ტელეფ. № 210.

კავკასიის აფიც. საზოგ., რკინის გზის მოხელეთა მომხმარებ. საზოგადოებისა, შაპიევისა, მანიევისა, აკოფოვისა და სხვა სავასტრონომიო მაღაზიაში. (0—11)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის გ. ს. მუსხელაშვილისა.

(გედევანიშვილის სვედი)

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

გ. მ. ჩიჯინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მუდინი. ყურისა, ყელისა და ცხვირის 8—10.

გ. დ. დამბაშიძე—შინაგანი: ორშაბათობით, ოთხშაბ. და შაბათობით 10—11 ს.-მდე.

გ. გ. ბადალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით.

გ. ბ. ბახალაშვინიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

გ. გ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: კვირაობით 10—12.

გ. გ. ამბარდანოვი—საშვილოსნოსა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

ზრ. გ. ხოგოლევსკი—ქირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

საღამოთი:

გ. ბ. ბადალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა.).

მუსხელაშვილი—თვალის ავადმ. ორშაბ., ოთხშაბ. და შაბათობით, 5—6 საათ.

მკურნალი ექიმი გ. დ. ნახარიძე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. ქლოროფორმი—სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, №-21. (ავჭალის ქუჩის დასაწყისში.) ტელეფონი № 274 (წლ.

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ბაალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-მდის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-მდის და საღამოთი 6—7-მდის.

ელისაბედის ქუჩა, 38. (წლ.

გამგე კომიტეტი

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების ღარიბ მოსწავლეთა დახმარებისათვის

აუწყებს საზოგადოების წევრთ, რომ ამ წლის 19 მაისს, ორშაბათს, საღამოს რვა საათზე, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში დანიშნულია საზოგადოების წევრთა წლიური

საზოგადო კრება.

განსახილველი:

1) ანგარიში საზოგადოების 1902 წლის მოქმედებისა და მოხსენება ამ ანგარიშის შესახებ;

2) სავარაუდო შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა 1903 წ.,

3) მოხსენება საზოგადოების ახალის შენობის აგების შესახებ ვერაზე და ამ საქმისათვის შემოწირულება;

4) მოხსენება ქალთა სკოლის გახსნის შესახებ;

5) მიმდინარე და სხვა-და-სხვა საქმეები და

6) არჩევანი კომიტეტის ერთის წევრისა. (3—3)

კვირას, 25 მაისს ბანკის ბაღში და ქართულ თეატრში გაიმართება „**ქართველთა შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების**" სასარგებლოდ

სახალხო სეირნობა

საქველმოქმედო ბაზრითურთ.

შემოწირულებათა გამოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლგა თადეოზის ასულის ჭავჭავაძესთან, (ნიკოლოზის ქუჩა, № 21) და ქართ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურობის ქარვასლა). (0—14

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

ექიმი

ვ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ბანკის ქუჩის კუთხესთან. **ტელეფონი 612**

საზღვარ-გარედ

ინგლისი. 8 მაისს ლიბერალურ კლუბში კრება მოახდინეს და თანამედროვე პოლიტიკურ ვითარებაზე მოილაპარაკეს. უმთავრეს ორატორად კრებაზე ლორდთა პალატის ოპოზიციის მეთაური ლორდ სპენსერი იყო. კემბელ-ბანერმანი ავად-მყოფობისა გამო თითონ ვერ მოვიდა კრებაზე და წერილი გამოგზავნა. ეს წერილი კრებას წაუკითხეს. დეპუტატთა პალატის ლიბერალურ პარტიის მეთაურის წერილიცა და ლორდ სპენსერის სიტყვაც ორივე სავსე იყო სიხარულით და იმედით, რომ კონსერვატიულ დასის ბატონობას მალე მოეღება ბოლო. კემბელ-ბანერმანი იწერებოდა:

„ლიბერალურ პარტიას ბევრი რამ აქვს გასახარი. ჩვენ პარტიას სრული საბუთი აქვს გამარჯვებას ელოდებოდეს. მთავრობა ძლიერ უცნაურად იქცევა: პურის ბაჟის თაობაზე, თუ ლონდონის სასკოლო ბილის საქმეში მეტის-მეტად გაამწვავა ხალხი. ირლანდიის საადგილ მამულო საქმეზე აზრი ხომ სულ მთლად შეიცვალა. ერთის სიტყვით, მთავრობამ თავისი თავი თითონვე სასაცილოდ გახადა. ეხლა მთავრობა მზადაა, თავი მსოფლიო სატამოჟნო კავშირის პროექტს ამოაფაროს. ეს კავშირი რომ დაწესდეს, ინგლისელ კაცს უფრო ძლიერ შეაწუხებს „იმპერიის ტვირთი". ჩვენ ნება გვაქვს დაცინვით ვუყუროთ, ჩვენი მთავრობა რომ [illegible] და იმედით ველოდოთ იმ დროს, როცა ინგლისის საზოგადოებრივი საქმე უფრო საიმედო კაცების ხელში ჩავარდება".

ლორდ სპენსერის სიტყვაც ამავე კლუბზე იყო ნათქვამი. სპენსერმა სთქვა:

„რა იქნა კონსერვატიულ პარტიის ერთობა? მთავრობის მომხრე დასი აშკარად ჯანყდება და გუშინ მთავრობამ ხომ სულ მცირე უმეტესობით გაიმარჯვა, ისიც ირლანდიელების დახმარების წყალობით გაიმარჯვა, იმ ირლანდიელებისა, რომლებსაც ამას წინად კონსერვატორები მეამბოხეთა და საშინელ კაცებად სთვლიდნენ. პირველი მინისტრი ვაჭრობის თავისუფლებას ემხრობა, კოლონიების მინისტრი კი იმავე დროს ბაჟების შემოღებას თხოულობს. ლიბერალურ პარტიის საქმე ეხლა ისე კარგადაა, როგორც ამ უკანასკნელ რვა წლის განმავლობაში ჯერ არა ყოფილა".

◆ როგორც ვიცით, ჩემბერლენმა ბირმინჰამში ილაპარაკა და მოითხოვა, რომ ინგლისის კოლონიებთან სადამოჟნო კავშირი დაწესდესო. ჩემბერლენის წინააღმდეგ ჯერ ლიბერალ იმპერიალისტმა ლორდ როზბერიმ ილაპარაკა, ეხლა კიდევ მეორე ლიბერალ-იმპერიალისტს ასკვიტს ულაპარაკნია. ასკვიტს უფრო მკაფიოდ და გარკვევით გამოუთქვამს თავისი აზრი. ასკვიტს უთქვამს:

„თუ ჩემბერლენს ნამდვილად სწადიან თავისი იმპერიალისტური ტარიფი დააწესოს,—უეჭველად სამსახურიდან უნდა გადადგეს ეხლავე, რადგან სამინისტრომ პურის ბაჟის გაუქმება გადასწყვიტა."

გაზეთები ამბობენ: თუმცა ბალფურმა და ჩემბერლენმა სულ სხვა-და-სხვა აზრი გამოსთქვეს ბაჟების თაობაზე, მაინც იმათი მეგობრული განწყობილება სულაც არ დარღვეულა. ბალფური 13 ივნისს კონსტიტუციის კლუბის სახელით ადრესს მიართმევს ჩემბერლენსაო.

◆ ლორდ როზბერიმ ისე ბუნდოვანად ილაპარაკა ჩემბერლენის წინააღმდეგ, რომ ვერავინ ვერა გაიგო-რა. ბევრმა სთქვა: როზბერიც ბაჟების მომხრე ყოფილაო და ჩემბერლენივით სატამოჟნო კავშირის დაწესება ჰსურსო. ეხლა ლორდს ხელ-მეორედ ულაპარაკნია და უთქვამს: როგორც ლიბერალურ პარტიის წარმომადგენელი, ყოველთვის ვაჭრობის თავისუფლების მომხრე ვიყავიო. ლორდ როზბერი მაინც მუდამ ისე ლაპარაკობს, რომ რიგზე ვერავინ იგებს იმის ნათქვამს.

გერმანია. ამას წინად გერმანიის იმპერატორმა საქსენ-მეინინგენის პრინცი სამსახურიდან დაითხოვა. ეხლა ნამდვილად გაიგეს პრინცის დათხოვნის მიზეზი. აპრილში პრინცს ბრძანება გამოუცია და თავის ხელქვეით აფიცრებისათვის სასტიკად აუკრძალავს: ჯარის კაცებს ცუდად არ მოეპყრეთო. ამაზე აპრილის გასულს იმპერატორს პრინცისათვის მკაცრი შენიშვნა მიუცია. პრინციც ამდგარა და სამსახურიდან გადამდგარა. მაგრამ საზოგადოება ისე აღელვა ამ ამბავმა, რომ იმპერატორი იძულებული იყო საზოგადოების დასამშვიდებლად პრინცი უფრო უმაღლეს თანამდებობაზე დაენიშნა. პრინცი ეხლა მეორე არმიის შტაბის უმთავრეს ინსპექტორად დაუნიშნავთ.

◆ რეიხსტაგის დეპუტატთა არჩევნები მომავალ 3 ივნისს (ახ. სტ. 16 ივნისს) მოხდება. ყველა პარტიები ეხლავ ემზადებიან ამ არჩევნებისათვის. ყველაზე მხნედ კი სოციალ დემოკრატები ემზადებიან თურმე.

ავსტრო ჰუნგრეთი. 7 მაისს ქალ. ზაგრებში ძლიერ შფოთიანი დემონსტრაცია მოუხდენიათ. დემონსტრაცია ხორვატიის მთავარ-მართებლის ელაჩიჩის ძეგლთან მოუხდენიათ. ელაჩიჩმა 1848 წელს ხორვატების ჯარით ჰუნგრელების წინააღმდეგ გაილაშქრა. 7 მაისი ელაჩიჩის გარდაცვალების დღე არის. [illegible]თა და გვირგვინებით შეამკეს. ერთ ლენტაზე ეწერა: „ალსდეგ, მთავარ-მართებელო, ხორვატიას უჭირს შენი თავი!" დილის 10 საათზე წმ. მარკოზის ტაძარში პანაშვიდი დაიწყო. ტაძარი ხალხით იყო გაჭედილი. პანაშვიდის შემდეგ ხალხი ეკკლესიიდან გამოვიდა, ხორვატიის ჰიმნი შემოსძახა და ელაჩიჩის ძეგლისაკენ გაემართა. ძეგლთან 2,000 კაცი შეიყარა და პატრიოტულ სიმღერებს მღეროდა. ახლო პოლიციის რაზმები იდგა და ცდილობდა, ხალხი რკინის გზის სადგურისაკენ არ გაეშვა. ხალხმა ქვები დაუშინა პოლიციას. დაჭრილი ძლიერ ბევრია, იმათ შორის ორი პოლიციელიც ურევია. მანიფესტაცია ღამითა და მეორე დღესაც მოახდინეს. 350 კაცი დაატუსაღეს. იმავე დღეს 7 მაისს რეკაშიაც (ფიუმეში) მოახდინეს მანიფესტაცია. ხალხმა ტელეგრაფისა და ტელეფონის მავთულები გასწყვიტა და ყვიროდა: „დაიღუპოს ხორვატიის ეხლანდელი მთავარ მართებელიო! და არ იშლებოდა. კარლშტადტიდან ჯარი დაიბარეს. შუადღის ხანს მანიფესტანტები რკინის გზის სადგურისაკენ გაემართნენ, მაგრამ ცხენოსანი და ქვეითა პოლიცია დაუხვდა და სხვა ქუჩებში გარდევნა. რამდენიმე ასი კაცი დაატუსაღეს.

ზაგრებში, თუ რეკაში ხალხი იმიტომ იწევდა რკინის გზის სადგურებისაკენ, რომ ჰუნგრეთის მთავრობამ პირველად სადგურებზე შემოიღო ჰუნგრული ენა ხორვატიულის მაგივრად. ამიტომაც ხორვატებს ასე ძლიერა სძაგთ სადგურები.

ახალი ამბავი

◆ 16 მაისს **მოხდა სამკურნალო საზოგადოების კრება**, რომელზედაც ქალაქ ტფილისის სასანიტარო-სამკურნალო ნაწილის გამგე ექიმმა სტეფანოვმა წაიკითხა მოხსენება. მოხსენება შეეხებოდა ქალაქის სასანიტარო და სამკურნალო საქმეს. სტეფანოვმა თავში დიდად შეაქო ქალაქის თვით-მმართველობა, ექიმი-ხმოსნები და ქალაქის ექიმები სასანიტარო და სამკურნალო ნაწილის ვითომდა კარგად მოწყობისათვის. მაგრამ ბოლოს გაკვრით განაცხადა, რომ სანიტარისა და მკუ-

რნალობის მხრივ ქალაქს მაინც ძალიან ბევრი რამ აკლიაო. ოღონდაც რომ აკლია. ეს კრებაზედაც საკმაოდ გამოირკვა. ზევრმა განაცხადა, რომ რაც სასანიტარო-სამკურნალო ნაწილი დაარსდა, ტფილისში სანიტარისა და მკურნალობის საქმე უფრო დაეცაო. ზევრმა კიდევ სთქვა, რომ სასანიტარო საბჭო კარ-ჩაკეტილი მოქმედებს და მცოდნეს არავის არ იწვევს საქმის რიგიანად მოსაწყობადაო. საჭიროა აქვე მოვიხსენიოთ, რომ ქალაქი ყოველ წლივ სასანიტარო-სამკურნალო ნაწილზე ჰხარჯავს 150 ათას მანეთამდე. როგორც მოხსენებიდან სჩანდა, სტეფანოვს საჭიროდ მიაჩნია სანატორიისა და ამბულატორიების დაარსება და სამკურნალო სტატისტიკის მოწყობა. მოხსენებამ ცხარე კამათი გამოიწვია და, როგორც ვსთქვით, ზევრმა გაჰკიცხა კიდეც სასანიტარო-სამკურნალო ორგანიზაციის მოქმედება. დასასრულ, უმრავლესობამ მაინც მადლობა გამოუცხადა ბ-ნ სტეფანოვს.

◆ უკვე ვწერდით, რომ პიროგოვის სახელობის რუს მკურნალთა საზოგადოება ამ ზაფხულს **მალარიის გამოსაკვლევად კავკასიაში** ჰგზავნის ექსპედიციას, ექიმის სკაბიჩევსკის მეთაურობით. ამ ექსპედიციაში მონაწილეობას მიიღებს რკინის გზის ექიმი სახაროვი. მონაწილეობა უნდა მიიღონ აგრეთვე კავკასიის სამკურნალო საზოგადოების წარმომადგენლებმაც. მალარიასთან საბრძოლველ საშუალებათა შესამუშავებლად კავკასიის სამკურნალო საზოგადოებამაც აარჩია განსაკუთრებული კომისია, რომელიც, როგორც გავიგეთ, ამ ჟამად მუშაობას ამთავრებს კიდეც.

◆ ხვალ, 19 მაისს, **ქალაქის საბჭოს** განსახილველად, სხვათა შორის, წარედგინება კომისიის მოხსენება ქუჩების მოკირწვლის შესახებ. როგორც ვუწყით, კომისია თხოულობს ეხლავე გადაეცეს უსახელო საზოგადოების მიერ შეტანილი ფული. უსახელო საზოგადოებამ უკვე შეიტანა 300 ათასი მანეთი, 11 ივნისს უნდა შეიტანოს კიდევ 150 ათასი მანეთი.

◆ 30 მაისისათვის ტფილისის ოლქის [illegible] ლია საინტერესო საქმე რკინის გზის სახელოსნოს მუშის სამსონ მიქაძესი, რომელსაც **დეპოს უფროსის შმიგანოვიჩის მკვლელის** განზრახვა ჰბრალდება. მიქაძე დაპატიმრებულია.

◆ მკითხველებმა უკვე იციან, რომ 2 ივნისს დაიწყება საქალაქო სკოლების მასწავლებელთა კრება. ამ დროსთვის კავკასიის სამოსწავლო ოლქის მთავრობა ჰმართავს **გამოფენას** იმ სამოსწავლო წიგნებისა და ნივთებისას, რომელიც პირველ დაწყებით სკოლისათვის არის საჭირო.

◆ სამშაბათს, 27 მაისს, კრება ექნება ტფილისის **ბავშვთათვის მზრუნველ საზოგადოებას**. როგორც გამგეობის აგარიშიდანა სჩანს, საზოგადოებას 1902 წელს ჰყოლია ერთი საპატიო, 17 მუდმივი და 611 ნამდვილი წევრი. წარსულ წელს შემოსავალი ჰქონია 10,932 მან. 47 კაპ. ხარჯი—10168 მან. 40 კაპ. ამ ჟამად აქვს 6103 მან. 63 კაპ. საზოგადოების თავშესაფარში ყოფილა 40 ბავშვი.

◆ ხმოსანმა ანანოვმა წინადადება შეიტანა ტფილისის ქალაქის გამგეობაში, დაწესდეს ქალაქის სხვა და სხვა უბანში **სასანიტარო მზრუნველთა თანამდებობანი**. ანანოვმა სთხოვა ქალაქის მოურავს, შეეკითხოს სხვა ქალაქებს, არიან თუ არა იქ ასეთი მზრუნველნი.

◆ ეხლა-ხან ბაქოში კრება ჰქონდა **„ა. ი. მანთაშევის ნავთის მწარმოებელ საზოგადოებას.“** მთელი წარმოება ამ საზოგადოებისა უდრის 22 მილიონ მანეთს. საზოგადოებას წელს წმინდა მოგება ჰქონია 907,872 მანეთი. ეს ფული, სახელმწიფო გადასახადის გარდა (88 ათასი მანეთია), აქციის პატრონთ უნდა დაურიგდეს. კრებაზე აქციის ერთმა პატრონმა წინადადება შეიტანა, რომ მოგებიდან 50 ათასი მანეთი დაურიგდეს მოსამსახურეთა და მუშებს, რადგან ჯამაგირს გარდა არავითარი საჩუქარი არ ეძლევათ. საზოგადო კრებას უარ-უყვია წინადადება მუშათათვის 50 ათას მანეთის გადადების შესახებ.

◆ „კავ.“-ს პეტერბურგიდან ატყობინებენ: ყაზანის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე კუდრევიჩი **დაინიშნა ტფილისის სამოსამართლო პალატის** დეპარტამენტის თავმჯდომარედ.

◆ ქალაქ გორის თვით მმართველობამ დაადგინა დეპუტაცია გაჰგზავნოს და სთხოვოს მთავრობას, რომ **გორის საოსტატო სემინარია ტფილისში არ გადაიტანონ.**

◆ ექიმ ხუდადოვს შეუდგენია პოპულიარული წიგნაკი **მალარიის შესახებ** და გადაუ- [illegible] თვის. ბ-ნ ხუდადოვს უთხოვნია, წიგნაკი ქართულად გადაითარგმნოს და ხალხში გავრცელდეს.

◆ 1-დან 17 სექტემბრამდე პიატიგორსკში გაიმართება საკლიმატოლოგო და საბალნეოლოგო **კრება**. კავკასიის სამკურნალო საზოგადოება ამ კრებაზე თავის წარმომადგენლად ჰგზავნის ექიმს ბაბაევს.

◆ როგორც ვუწყით, **ტფილისის ქალაქის გამგეობა** ყოველთვის აგვიანებს ხარჯთ-აღრიცხვის შედგენას. ამის თავიდან ასაცილებლად გამგეობამ უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა, დაავალოს ქალაქის თვით-მმართველობას ეხლავე შეუდგნენ საჭირო ცნობების შეკრებას.

◆ გუშინ, 17 მაისს, **ახალქალაქსა და ახალციხეში გაემგზავრა** ტფილისის ოლქის სასამართლოს სესია. სესია დაბრუნდება 26 მაისს.

◆ გუშინ, 17 მაისს, ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსი გაემგზავრა ერევნის გუბერნიასა და ყარსის ოლქში იქაურ **ფოსტა-ტელეგრაფის კანტორების სარევიზიოდ.**

◆ გუშინ, 17 მაისს, დაასაფლავეს 14 მაისს მოკლული **ნიკოლოზ ჯავრიშვილი.** დასაფლავებას დიდ-ძალი ხალხი დაესწრო.

◆ 20 მაისს მოხდება **პირუტყვთა მფარველ საზოგადოების კრება.** სხვათა შორის, ამ კრებამ უნდა გადასწყვიტოს საქმე პირუტყვთა სამკურნალოს გაფართოვების შესახებ.

◆ ბ-ნმა კაკაბაძემ წინადადება მისცა ტფილისის ქალაქის გამგეობას, **ქუჩები ოსმალეთის ქვით მოიკირწყლოს.** კაკაბაძე ჰპირდება ამ ქვის ოსმალეთიდან ბათუმამდე მოტანას, თითოს 7-დან 8 კაპეიკად.

◆ **თავის დროზე დაწვრილებით გვქონდა აწერილი ტულუზსკის ქურდის მკვლელის ამბავი. მკვლელობა ჩაიდინა სტანისლავ სტავინსკიმ, რომელმაც დამე ქალს ყელში თოკი წაუჭირა და დაახრჩო. ამასთან ნივთები და ფული მოიპარა და წავიდა. პასუხის გებაში მიცემული სტავინსკი ოლქის სასამართლოში გამოტყდა. სასამართლომ სტავინსკის ჩამოართვა ყოველივე უფლება და მოუსჯა 20 წლით კატორღაში გაგზავნა. ბრალდებულმა ოლქის სასამართლოს განაჩენი გაასაჩივრა პალატაში, რომელმაც ეს საქმე გაარჩია გუშინ, 17 მაისს, დამნაშავედ იცნო სტავინსკი და დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი, მხოლოდ სასჯელის ვადა 20 წლის ნაცვლად 15 წელიწადი დაუნიშნა.**

◆ **დღეისთვის დანიშნული კრება ტფილისის ვაჭართა საზოგადოებისა გადასახადის გამწერ საკრებულოში წარმომადგენლების ასარჩევად და სხვა საქმეების განსახილველად.**

◆ **მიწათ-მოქმედების მინისტრის რწმუნებულს ბ-ნ მედვედევს პეტერბურგიდან ტფილისში მოელიან მაისის ბოლო რიცხვებში.**

◆ **დღეს ავჭალაში მიემგზავრება ტფილისის წყალ-სადენის დასათვალიერებლად წევრნი საბჭოს საფინანსო კომისიისა, სარევიზიო კომისიისა და ტეხნიკოს-ხმოსნები.**

◆ **რედაქციამ შემდეგი წერილი მიიღო: „ხუთი წელიწადია, რაც ბ-ნ მონადირიშვილის მგალობელთა გუნდი არსებობს. ამ გუნდმა თავის დისციპლინით და საქმის ცოდნით დიდი ყურადღება დაიმსახურა. აი, ამას წინადაც თავ. კ. მუხრან-ბატონის პანაშვიდზე მცხეთაში ეს გუნდი ისე მწყობრად, ისე ჰარმონიულად გალობდა, რომ ბევრს ათქმევინა კიდეც: „ბევრი ქვეყანა მომივლია, ბევრი გალობა მომისმენია, მაგრამ ასე საუცხოვო და მშვენიერი საეკლესიო გალობა არ გამიგონია“. მართლა რომ მადლობის ღირსია ბ-ნი მონადირიშვილი ამ საქმისთვის და ამასთანავე მისაბაძიც ზოგიერთებისთვისაც, რომელნიც უფრო კარგს პირობებში არიან და გალობის შესახებ ვერ ახერხებენ იმას, რასაც ბ-ნი მონადირიშვილი ახერხებს მეცადინეობით და მხნეობით“.**

◆ **1871 წელს ვიღაც ქედხუდოვს სამკურნალო საზოგადოებისთვის გადაუცია 200 მანეთი იმის დასაჯილდოვებლად, ვინც ხოლერის შესახებ პოპულარულ წიგნაკს შეადგენს. საზოგადოებამ მხოლოდ ეხლა, 30 წლის შემდეგ, მიუსაჯა ეს პრემია ექიმს არწრუნის.**

◆ **მეტეხის სატუსაღოს ექიმი, როგორც გავიგეთ, თანამდებობას თავს ანებებს.**

◆ გუშინ-წინ, გიორგიევის ქუჩაზე, არჯევანიძის სახლს ცეცხლი გაუჩნდა. ცეცხლის გაჩენა მალე შეიტყეს და მალევე ჩააქრეს.

პრესსა

„რუს. სლ.“ ეხება ქალთა საშუალო სკოლის პროგრამას და ამბობს, სწავლის საქმე მეტად უხეიროდ არის მოწყობილი ამ სკოლებშიო. პროგრამა შეიმუშავეს მე-80 წლებში, როდესაც ერთგვარი ტენდენცია იყო გაბატონებული, მაშინ ყველა იმასა ჰფიქრობდა, რომ ქალის დანიშნულება ოჯახი და სახლის კერა უნდა იყოსო. უპირველეს ყოვლისა ქალმა უნდა შეისწავლოსო ჭრაკერვა, ხელ-საქმე, საჭმლის კეთება და სხვა. აი, ამიტომ სკოლაში ესე გაბატონეს ხელსაქმე, საკულინარო ხელობა, ჭრა-კერვა და სხვა. გონების საზრდო თითქმის სრულიად განდევნეს. ვერავინ იტყვის, რომ ხელ-საქმე, ჭრა-კერვა და სხვა ამგვარი რამ სასარგებლო არ იყოს, მაგრამ ამისთვის ხომ სხვა სასწავლებლებია, სადაც ამ გვარ ხელობის შესწავლა ბევრად უკეთ შეიძლება, ვიდრე საშუალო სკოლაში. ამ გვარ პროგრამის წყალობით ქალები საშუალო სკოლაში ვერც ხელ-საქმეს სწავლობენ და ვერც გონებას იმდიდრებენ [illegible] ეცხნიერებით. საზოგადოდ, დღეს ჩვენი საშუალო სკოლა თვალ-საჩინოს ვერაფერს აძლევს მოსწავლე ქალებს.

⁂

მთელი რუსეთი უჩივის დღეს წიგნების სიძვირეს. არსად, მგონი, ისე ძვირი არ არის საკითხავი წიგნი, როგორც რუსეთში. ამ სიძვირეს ზედ ერთვის დიდი საფოსტო გადასახადი. ჩვეულებრივ წიგნის გაგზავნა იმის ნახევარი ჯდება თითქმის, რაც თვით წიგნი ღირს. ამიტომ წიგნი ერთი-ორად უფრო ძვირად უჯდებათ იმათ, ვინც ქალაქ გარედ

ფელეტონი

თავად-აზნაურთა საქმეები და ერის ინტერესი

(დამთავრდა თავად-აზნაურთა კრებები. ამიტომ თვალი გადავავლოთ მათ მოღვაწეობას. მართალია, სავსებით არ შეგვიძლია ვილაპარაკოთ და ყველაფერს ვერ შევეხებით აქ, მაგრამ გამოვსთქვამ მაინც ზოგიერთი მოსაზრებანი. თითქმის ერთსა და იმავე დროს მოხდა ქუთაისის და ტფილისის თავად-აზნაურობის კრებები. საყურადღებოა, ერთმანეთს შევადაროთ ორივეს ნამოქმედარი, რა განსაკუთრებული თვისება აქვს ერთსაც და მეორესაც.

დღეს სასაცილოთაც არავის ეყოფა, რომ ვინმემ დაიჩემოს: თავად-აზნაურობაა ერის დედა-ბოძი და ეროვნული საკითხი სათავად-აზნაურო საკითხთან არის დაკავშირებულიო. დღეს ასეთს ცრუ-მორწმუნოებას ადგილი არა აქვს, ურიცხვი მაგალითი აშკარად ჰყოფს ამის უსაფუძვლობას. ჩვენ არ შეგვიძლია, თავად-აზნაურობისაგან მოველოდეთ ერის აღორძინებას. ეს ცხადზე უცხადესია, უკვე გამორკვეულია კარგად და ამისთვის სულ მეტია ახალი საბუთები.

შეიძლება, ასეთის თუ ისეთის შეხედულების ვიყოთ მის შესახებ, მაგრამ იგი დღეს ფაქტია ჩვენთვის და თვალებს ვერ დავხუჭავთ მის წინაშე. თავად-აზნაურობა არის წოდება, შექმნილი წარსული ცხოვრების მიერ, მისი არსებობის აზრი წარსულშია, მისი ნიადაგი წარსული წეს-წყობილების ნაყოფია. თავად-აზნაურობა, როგორც წოდება, გვიანდერძა წარსულმა. მაგრამ იგი არსებობს დღეს, დღევანდელის ცხოვრების პირობებში, რომელნიც სრულიად განსხვავდებიან იმ პირობებისაგან, როდესაც გაჩნდნენ წოდებანი და წოდებრივი განწყობილება. თავად-აზნაურობას—წოდებას არ ძალუძს დაიმორჩილოს ახალი ცხოვრების პირობები, პირიქით, თვითონ ემორჩილება ახალ ცხოვრებას და ნელ-ნელა, ხშირად შეუგნებლად, იღებს მის ელფერს და ითვისებს მის ხასიათს.

რამდენად ახლოა თავად-აზნაურობა დღევანდელს ცხოვრებასთან, რომელიც მოკლებულია განსაკუთრებულობას, იმდენად იგი ცოცხალია. რამდენად იგი, თავისს თვითმმართველობით და უფლებებით სარგებლობს არავიწრო წოდებრივის ინტერესებისათვის, იმდენად საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს მის მოღვაწეობას. ამ მხრივ გვაინტერესებს ჩვენ თავად-აზნაურობა.

ამ მხრივ განვიხილოთ თავად-აზნაურთა წარსული კრებები. როგორც ტფილისში, ისე ქუთაისში თერთმეტ-თორმეტამდე საყურადღებო საგანი იყო განხილული. მხოლოდ დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის კრებაზე თორმეტ განხილულ საგანთა შორის მარტო 4—5 იყო საზოგადო ხასიათისა, დანარჩენი კი შეეხებოდა თავად-აზნაურთა წოდებრივ ინტერესებს, მაშინ როდესაც ქუთაისში 10—11 საგანი იყო განხილული და აქედან მხოლოდ სამი იყო განსაკუთრებით წოდებრივის ხასიათისა. თუ მივიღებთ მხედველობაში იმასაც, რომ ტფილისის კრებაზე ერთი თხოვნა საზოგადო საქმის შესახებ უარ-ყოფილი იქმნა თავად-აზნაურობის უმრავლესობის მიერ, მაშინ თავიდანვე აშკარა შეიქმნება ჩვენთვის ერთისა და მეორე გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადო ფიზიონომია.

მაგრამ უფრო დაუახლოვდეთ საგანს. ტფილისის კრებაზე განხილული იყო შემდეგი უმთავრესი საგანი: 1) რომელისამე სასწავლებლის ან სტიპენდიების დაარსება უმაღლესად ნაბოძების ოცი ათასის მანეთით, 2) გორის თავადა-აზნაურობის თხოვნა 5000 მანეთის სესხების შესახებ ქართლის ვიწრო ლიანდაგიანის რკინის გზის გამოსაკვლევად, 3) პანსიონის-თავშესაფარის გაკეთება თავად-აზნაურთა შვილთათვის, 4) სახლის აშენება ფრეილინის ქუჩაზე (სადაც ქირით დათმობილი ექმნება ბინა „წერა-კითხვის საზოგადოებასაც“), 5) საკითხის გადაწყვეტა დროებით ვალდებულთა და თავად აზნაურთა საძოვარ ადგილების შესახებ, 6) ცენზის შემცირება თავად-აზნაურთათვის კრებაზე მონაწილეობისათვის, 7) უმაღლესი სასწავლებლის დაარსება, 8) 4500 მანეთის პატიება დრამატიულ საზოგადოებისათვის,*) 9) სასოფლო-სამეურნეო თანხის დაარსება თავად-აზნაურთათვის, 10) სტატისტიკური ცნობების შეკრება თავად-აზნაურთა მიწის-მფლობელობის შესახებ, 11) განმეორება თხოვნისა ერობისა და ნაფიც-მსაჯულთა შემოღებისათვის და 12) შემწეობის დანიშვნა წინამძღვარიანთ კარის სკოლისათვის.

აქედან ცხადია, რომ პირველი, მე-3, მე-4, მე 5, მე-6, მე-9 და მე-10 საკითხი შეეხება მარტო თავად-აზნაურობას და მის ინტერესებს. სამეურნეო თანხის დაარსება, სკოლის გაკეთება თუ პანსიონის თავშესაფარისა—ეს მხოლოდ თავად აზნაურობის კერძო ცხოვრების საქმეა. კეთილი, თუ მათ თავის ცხოვრების მოწყობის უნარი აქვთ, მაგრამ აქ მათი საზოგადო მოღვაწეობა არაფრად სახსენებელია. კაპიტალისტი ბურჟუები რომ შეერთდენ და თავის შვილებისთვის სასწავლებელი აავონ, ამისთვის ბიოგრაფიებს ვერ დაუწერთ მათ. ცოტა მეტი გაფართოება უნდა მოღვაწეობას, რომ საზოგადოებრივი ხასიათი მიიღოს!..

ტფილისის გუბერნიის თავად აზნაურობა თითქოს განზრახ თვალსაჩინოდ ყოფდა და პირველ ადგილზე აყენებდა თავის წოდებრიობას. როდესაც გორის თავად-აზნაურობამ იშუამდგომლა, ხუთასი თუმანი გვასესხეთ გორიდან ცხინვალამდე რკინის გზის გამოსაკვლევადო, თავმჯდომარემ მოკლედ მოუჭრა სიტყვა რკინის გზის პროექტის ავტორს: ეგ მარტო თავად-აზნაურობის საქმე არაა, უფრო საერობო მოთხოვნილებაა და მხოლოდ თავად-აზნაურობას არ შეუძლია იკისროს ეგ საქმეო. თავად-აზნაურობის უმრავლესობა დაეთანხმა თავის წინამძღოლის აზრს.

ხანგრძლივი კამათი გამოიწვია კრებაზე ქართული თეატრის საქმემ: დრამატიული საზოგადოება თხოულობდა თეატრის იჯარის პატიებას, რაიც ადვილი გასაგებია ყველასთვის, ვისაც, ერთხელაც არის, შეუხედია ჩვენს თეატრში და იცის, რომ დღევანდელი უვარგისის პირობის ტვირთი ყველაზედ უფრო ჩვენს თეატრს აწევს და აჩნობს. მაგრამ კრებაზე გამოჩნდნენ ისეთები, რომლებისათვის ქართული სცენა (როგორც საკვირველია, მწერლობაც) სრული terra incognita-ა, და

---

*) აქ უნდა გვახსოვდეს, რომ დრამატიულმა საზოგადოებამ ამდენივე ფული დახარჯა თავის ჯიბიდან თავად-აზნაურობის თეატრის შეკეთებისათვის.

სცხოვრობენ, ე. ი. იმათ, ვინც უფრო საჭიროებს წიგნს. „ნ. დ.“-ს მოჰყავს მაგალითები იმისა, თუ რა ძვირადა ჯდება წიგნის გამოცემა. ვოლფმა გამოსცა დალის ლექსიკონი. თვითო პატარა წიგნაკი ამ ლექსიკონისა ღირს 15 კაპ., გაგზავნაც წიგნაკისა ფას-დადებით ჯდება 15 კაპ., ამ რიგად ფოსტა წიგნის ფასის ოდენას იღებს. სალიტერატურო ფონდმა გამოაცხადა ხელის მოწერა კოსტამაროვის თხუზულებებზე. რვა ტომი ხელის მოწერით ეღირება 20 მანეთი. გაგზავნა ამ რვა ტომისა დაჯდება 10 მანეთი. რაღა თქმა უნდა, საჭიროა, რომ ფოსტამ გასაგზავნ ტარიფს დაუკლოს. გაზეთი ამბობს, რომ ფოსტის წყალობით წიგნის შეძენა მხოლოდ მდიდარსა და ფულიან კაცს შეუძლიანო.

⁂

ნიჟნი-ნოვგოროდში სახალხო საჩაიესთან შემდგარა კომისია კითხვებისა და წარმოდგენების გასამართავად. საყურადღებო ის არის, რომ ეს კომისია პიესებს კი არ დგამს, არამედ კითხულობს. ანაწილებენ როლებს და ყველა თავის როლს კითხულობს. არც დეკორაციებია, არც სცენა, არც ტანისამოსი და არც სხვა რამ. სხედან და კითხულობენ მხოლოდ. ხალხს საშინლად მოსწონებია ამ ნაირი „წარმოდგენები“. დარბაზი, სადაც 500 კაცი ეტევა, ყოველთვის გატენილია თურმე. ამასთან ისეთი სიჩუმეა, რომ დამსწრეთა სუნთქვა ისმის. ასე წაუკითხნიათ „რევიზორი“, „ვაი ჭკუისაგან“, ოსტროვსკის პიესები და სხვა. ამავე კითხვების დროს გამოირკვა, როგორც „ვესტ. ევროპი“ გადმოგვცემს, რომ ხალხს მოსწონს ყველა ის, რაც ინტელიგენციას მოსწონს. ჩვეულებრივ, ამბობს ჟურნალი, ამტკიცებენ, რომ ხალხს განსაკუთრებული ნაწარმოები უნდა მიაწოდო, თორემ ვერ გაიგებსო. ზემოხსენებულმა კითხვებმა დაარწმუნა კომისიის წევრნი, რომ უბრალო ხალხს მოსწონს ყველა კარგი და ხელოვნური ნაწარმოები.

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადო კრება

(კორესპონდენცია)

პარასკევს, 16 მაისს, ქუთაისის გუბერნიის თავად აზნაურობა შეუდგა მაზრების თავად-აზნაურთა წინამძღოლებისა და დეპუტატების არჩევას. არჩეულ იქმნენ:

ქუთაისის მაზრაში: წინამძღოლად—თავ. დ. თ. ნიჟარაძე (102 თ.—14 შ.); კანდიდატად—პოდ-პოლკოვნიკი თავ. ა. გ. წულუკიძე (66 თ.—55 შ.); დეპუტატად—ა. გ. ერისთავი (68—47); კანდიდატად—თავ. ი. ნ. ნიჟარაძე (62—53). რაჭის მაზრაში: წინამძღოლად—თავ. დ. ა. ყიფიანი (18—15); იმის თანაშემწედ—თავ. მ. მ. ჯაფარიძე (26—6); კანდიდატად—თავ. გ. ს. ჯაფარიძე (19—9); დეპუტატად—ი. თ. ბაქრაძე (18—5); კანდიდატად—ი. ს. ჯაფარიძე (19—4); ლეჩხუმის მაზრაში: წინამძღოლად—თავ. ი. დ. გელოვანი (15—4); თანაშემწედ თავ. ნ. მ. გელოვანი (15—4); კანდიდატად—თავ. გ. ო. გარდაფხაძე (15—5); დეპუტატად—თავ. ალ. თ. გელოვანი (15—4); კანდიდატად(?)—(15—4); ზუგდიდის მაზრაში: წინამძღოლად—თავ. ნ. გ. დადიანი (16 თ., შავი სულ არა); კანდიდატად—თავ. კ. ნ. ჩიჩუა (13—3); თანაშემწეებად—თავ. გ. გ. აფაქიძე (10—6); და თავ. ი. ი. დადიანი (9—7); დეპუტატად—თავ. ი. კ. დადიანი (16 თ.—შავი სულ არა); კანდიდატად—თავ. მ. დ. აფაქიძე (13—4); სენაკის მაზრაში: წინამძღოლად—თავ. ნ. ნ. დადიანი (29 თ.—შავი სულ არა); კანდიდატად—თავ. ნ. ტ. ქობაკიძე (25—4); თანაშემწედ—დ. პ. გაბუნია (28—1); მეორე თანაშემწედ—ა. დ. გეგეშიძე (28—1); დეპუტატად—თავ. გ. ი. დადიანი (29 თ.—შავი სულ არა); კანდიდატად—თავ. ნ. ა. დგებუაძე (24—5); დეპუტატთა საკრებულოს მდივნის ადგილზე წამოყენებულ იქმნა ორი კანდიდატი, რომელთაც დღეს თავის მაზრებში უყარეს კენჭი: დ. ბ. მდივანმა მიიღო ქუთაისის მაზრაში 76 თეთრი და 13 შავი; მ. თ. დიდიამ თავის მაზრაში—სენაკისაში—მიიღო 29 თეთრი, შავი კი სულ არა. ხვალ ამ ორ კანდიდატს უყრიან კენჭს.

ხვალვე მოხდება გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის არჩევანი.

დონ-გალიანი

თეატრი

სახალხო წარმოდგენების და კითხვების ქართულ სექციის საქმეები წლითი-წლობით წინ მიდის. როგორც სექციის ანგარიშიდანა სჩანს, წარსულ სეზონში სექციას გაუმართავს 38 წარმოდგენა. შემოსულია სულ 1142 მან. 65 კაპ. დაუხარჯნია: თეატრის ქირად—154 მან., ტანისამოსისა—197 მან. 20 კაპ. ეტლების ქირად—73 მან. 80 კაპ. და სხვა, სულ 997 მან. 30 კაპ. ასე რომ წმინდა დარჩა სექციას სულ 135 მან. 35 კაპ.

—

ფოთი. ხუთშაბათს, 15 მაისს, ადგილობრივ კლუბის დარბაზში, ქუთაისის მსახიობთა დახმარებით ქ-ნმა ნინო ჩხეიძემ გამართა ქართული წარმოდგენა, რომელმაც კარგად ჩაიარა და იმდენი ხალხი მიიზიდა, რომ ამდენი არც ერთს ამ მოკლე ხანში გამართულ წარმოდგენას არ დასწრებია. წარმოადგინეს „უბედური ნაბიჭვი“, დრამა 3 მოქ. კარეევისა და „ცოლქმრობის წინააღმდეგი“, ვოდევილი. დრამაში უმთავრეს როლს ასრულებდა ნინო ჩხეიძე, რომელმაც საუცხოვო თამაშით ისეთი გავლენა იქონია მაყურებლებზე, რომ დამსწრე საზოგადოებას მრავალი ცრემლთა ნაკადული დააფრქვევინა. ალექსანდრ ვლადიმიროვიჩის როლი კარგად შეასრულა ბ-ნმა ქორიძემ და ნიკოლაი ეგოროვიჩისა ბ-ნმა თუთბერიძემ. ნინო ჩხეიძე საზოგადოებამ „ვაშას“ ძახილითა და ტაშის კვრით დააჯილდოვა. ვოდევილმა მხიარულად ჩაიარა.

ი. აინეთელი

წერილი კახეთიდან

გლეხის უნუგეშობა.—სეტყვის შიში.

რის იმედი უნდა ჰქონდეს კახელ მუშას, როცა წლის წლობამდის წელში მოკაკული მუშაობს, არც ძილია იმისთვის და არც მოსვენება. სცდილობს, ხელი არ მოაკლოს მამულის მოვლას. უბეჯითებს იმ იმედით, რომ მოსავალი მოუვა და გაახარებს, დააგვირგვინებს ამდენ ჯაფას და წელში გაასწორებს. პირად მუშაობას ჯანი გაჰყვარდეს, არაფრად აგდებენ, საქმე ჩავლის და შემდეგ კოკორდ-მაბამნის მოშორებაა, ურომლისოდაც ფუჭია იმისი შრომა. ბევრჯელ იქმნება ვალიც აიღოს და ხელი კი არ შეუშალოს ვენახს. არაფერსა ჰზოგავს, რაც-კი ძალა შესწევს, უფერებს, რომ მოსავალი ოფლით დაინახოს და მით ოჯახი გაახაროს. ხშირად მოლოდინი არ უმართლდება. ჯერ იყო 2 მაისს ამოვარდა ქარი და მთელი დღე-ღამე ჰქროდა კახეთში. დააზიანა ხეხილი, რომლის კენწერო გაახმო და ნაყოფი გააფრქვიანა; ვაზი უფრო შეუმჩნევლად დააზიანა, შემდეგში-კი საგრძნობლად ვერაფერი დააკლო. სხვა ბუნების მოვლენანი კიდევ არაფერი, თუ ამ მაისში სეტყვას გადაურჩა.

ვერ იქმნა, ვერ დაწყნარდა ცა და დრუბელი. ელვა-ქუხილი და გრგვინვა შიშის ზარსა სცემს კახელს და მომავალ იმედებს უცრუებს. 10 მაისს, შუადღის შემდეგ, აარია დრუბელი და მოისმა რუგრუგი. ჯერ გადმა მხრიდან გადმოიარა გამოღმა ზემო მხრივ, წამოვიდა თელავზე და დაეშო ქვემოდ, გადმა მხრისაკენ. სწორედ ოთხის ნახევარზე თელავში ასტყდა ქარიშხალი, წამოვიდა მსხვილი წვიმა, მაგრამ მალე გადაიღო და იმის ნაცვლად სისწრაფით დაუშვა ზემოდან მსხვილი და მასთან ხშირი სეტყვა. სულ ოთხი წამის განმავლობაში მოდიოდა, მერე ისევ გადაიღო და ქვემოდ დაეშვა. ყველამ იცოდა, რომ ეს დღე უამბოდ არ ჩაივლიდა. მეორე დღეს, როგორც ამბავი მოვიდა, სეტყვას დაუზიანებია სოფ. იყალთო და ვარდისუბანი მსუბუქად, ზოგ ადგილას ძლიან; ხოლო ართოზანი და რუისპირის ნახევარი—ზემო წელი—ისე ძლიერად, რომ სულ გაუნადგურებია, რასაც-კი მოჰხვედრია. ჯერ კიდევ სწორედ არ არის გამორკვეული ზარალი. კურდღელაურის ბოლოსაც ძლიერ დაუკრავს სეტყვას. რუისპირში თუმცა მორტირები სდგას, მაგრამ თავის დროზე ვერ მოუსწრიათ სროლა და ამისთვის ნაყოფი ვერ მოუტანია.

ასე ამ დღეს მოსულმა სეტყვამ ბევრი ჯაფა გააცრუა და მუშა გულ-ხელ დაკრეფილი დასტოვა.

ნომერი

დაბა-სოფლები

საჩინო (იმერეთი). ხან-გრძლივისა და სასტიკის ზამთრის შემდეგ სხვა უბედურებანიც ეწვია წელს ჩვენს სოფლებს. გაზაფხული უწვიმო და გვალვიანი დადგა, რამაც ძლიერ შეაფერხა და დააგვიანა მიწისა და ბაღ-ბოსტნების დამუშავება. მხოლოდ აპრილის შუა რიცხვებიდან გვეღირსა ამინდები და ყველანი შეუდგნენ მუშაობას. წელს ამერიკული ვაზის მოშენებასაც უფრო გულ-მოდგინედ შეუდგნენ სხვა წლებთან შედარებით; ყველას სურვილი აქვს, გააშენოს, მაგრამ სიღარიბე, სანამყენე ვაზის სიძვირე და მასთან უცოდინარობა იმისა, თუ რომელი ჯიშის ვაზი უფრო გამოდგება ჩვენებურს ნიადაგებზე, მეტად აფერხებს საქმეს. არა ჩვეულებრივ ზამთარს წელს ჩვენში შედეგად მოჰყვა გაციებით ავადმყოფობა (ინფლუენცია), რომელმაც შავი დღე დააყენა ბევრს. ისეთი ოჯახი არ მოიპოვება, რომ ორი, სამი ავადმყოფი არა ჰყავდეს. ამათთვის ექიმი და სამკურნალო წამლები მეტად ხელმიუწვდომელია ქალაქის სიშორისა და ცუდის გზების გამო. გაციებით ავადმყოფობას რადაც შემთხვევით ჩვენში იმანაც შეუწყო ხელი, რომ მეტად გახშირდა დოკინის ქურდობა. ისე კვირა არ გაივლის, რომ ქურდბაცებმა ოჯახი არ გაძარცვონ; იპარვენ საბანს, ლეიბს, ბალიშებს, ნოხ-ფარდაგებს, ყოველგვარ ნივთებს და ხორაგს, რაც-კი ხელში მოჰყვებათ. საკვირველი ის არის, რომ ღამის რაინდების ალაგმვა დღემდის ვერ მოხერხდა. ყველასთვის აშკარაა, რომ შორეული ქურდი ჩვენს სოფელში ბალიშების მოსაპარავად არ მოვა და ის ვაჟბატონები, რომელნიც ასხეინად დათარეშობენ, ისევ ჩვენი მეზობლები არიან. საწყალს კაცს, როცა მეზობლისას გადავა ან საქმეზე არის წასული, გაუტეხენ კარებს და ცხოვრების უკანასკნელს სახსარს გამოაცლიან.

როგორც იქმნა, გადააკეთეს ჩვენი ერთ-კლასიანი სკოლა ორ-კლასიანად. საზოგადოება დასთანხმდა, ააგოს სკოლისთვის შენობა, აარჩიეს კიდეც კომიტეტი, რომელსაც დაავალეს შენობისთვის გეგმის შეძენა. იმასვე უნდა მოეწვია ოსტატები და საჯარო ვაჭრობით გაეცა ასაგები შენობა, შემდეგ ხარჯი უნდა გაეწერათ გლეხებზე შეძლებისადაგვარად. კომიტეტმა შვიდი ათასი მანეთი გაწერა სოფლელებს განურჩევლად შეძლებისა, შენობის აგების საქმე იჯარით მისცა ად-

წყრომით გაიძახოდნენ: დრამატიულ საზოგადოების ყოველ წლიური დეფიციტი იმით აიხსნება, რომ მის გამგეთ ვერ მიჰყავთ რიგიანად საქმეო და დრო არის, მთლად ჩამოვართვათ თეატრიო. ასეთ პირებს არ აინტერესებს ქართული თეატრი, არ აინტერესებს, რადგან არ იცნობენ. უთუოდ იმნაირივე აზრის არიან სამშობლო თეატრის შესახებ, როგორისაც იყო ერთი კნეინა, რომელიც ერთს უცხოელს უმტკიცებდა, ქართულ თეატრში ლაქიების და მზარეულების მეტი არავინ დადისო.

ასე უინტერესოთ და უხალისოთ შეეხო თავად-აზნაურობის უმრავლესობა ტფილისში უმაღლესის სასწავლებლის დაარსებას. არ უნდოდათ შეეგნოთ დიდი მნიშვნელობა, რომელიც ექნებოდა ჩვენი ქვეყნისათვის უნივერსიტეტს ან პოლიტეხნიკუმს. კითხვა დაავიწროვეს, არ ისურვეს ქალაქის თვითმართველობის შუამდგომლობას შეერთებოდენ და გადაწყვიტეს: ვითხოვოთ უმაღლესი სამეურნეო სასწავლებელი ან სასწავლებელი სამეურნეო განყოფილებითო. რასაკვირველია, აქ თავად-აზნაურობას სახეში ჰქონდა უპირველესად საკუთარი ინტერესი, რომ სამეურნეო ცოდნის შეძენით მიწას შევირჩენთ, დღევანდელს შევიწროებულს მდგომარეობას თავს დავაღწევთო. გულუბრყვილოდ ჰგონია ზოგიერთს, რომ სამეურნეო სკოლები თავად-აზნაურობას წელში გამართავს. სხვათა შორის დიდ გაკვრით იყო განხილული განმეორებული შუამდგომლობის აღძვრა ერობის და ნაფიც მსაჯულთა შესახებ.

საყურადღებოა კრების დადგენილება აქაურ სათავად-აზნაურო სკოლის შესახებ. კარგი ხანია, ნდობით არ უყურებს ზოგიერთი თავად-აზნაური ამ სკოლის გამგე კომიტეტს, რომელსაც სპეციფიკური თავად-აზნაურული ხასიათი არა აქვს... კრებამ ჩამოართვა კომიტეტს სასტიპენდიო 4000 მანეთი და ამ ფულის დანაწილება უმაღლესს სასწავლებლებში, და ამოირჩია განსაკუთრებული კომისია თავად-აზნაურობისა და სასკოლო კომიტეტის ურთიერთობის გასაწესრიგებლად.(!)

სულ სხვა ხასიათისა იყო ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობის კრებები*). როგორც უკვე აღვნიშნეთ, მხოლოდ სამი საგანი შეეხებოდა წოდებრივს, მარტო თავად-აზნაურობის ინტერესებს. ასეთები იყო: 1) უმაღლესად ნაბოძების 20 ათასის მანეთის მოხმარება თავად-აზნაურთა სწავლა განათლებისათვის, 2) თავად აზნაურთა საურთიერთო დამხმარებელ კასის დაარსება და 3) ჯამაგირის დანიშვნა გუბერნიის მარშლისათვის. გარდა პირველისა, არც ერთს ამ საგანს დიდი მნიშვნელობა არა აქვს და კრებასაც არ მიუქცევია დიდი ყურადღება და არ დაუკარგავს ბევრი დრო მათთვის. კრების უმთავრესი ყურადღება იყო მიქცეული სულ სხვა საგნებზე, რომელთაც საერო, საზოგადო ინტერესი აქვთ. ყველაზედ უფრო საინტერესო საზოგადო საგანი იყო, ყველაზე უფრო გაცხარებით და მეტს ასეთს საგანზე ლაპარაკობდნენ. 1) კრებამ ხელახლავ აღძრა საკითხი ერობის შემოღების შესახებ და დაადგინა იშუამდგომლოს ამის შესახებ უმაღლეს მთავრობასთან, რომელსაც მოახსენოს განსაკუთრებულის დეპუტაციით ჩვენი ქვეყნის სხვა გაჭირვებაც; 2) კრებამ დაადგინა, ითხოვოს, რომ დაკლებულ იქნეს ტარიფი ჭიათურის რკინის გზაზე, რომელიც ძლიერ აბრკოლებს დღეს შავის ქვის მრეწველობას და მთელი გუბერნიის წარმატებას; 3) ითხოვოს, რომ ყოველ მაზრაში გახსნილ იქნას თითო სამეურნეო სასწავლებელი მეორე ხარისხისა, 4) ყოველს მაზრაში თითო საავადმყოფო დაარსდეს. 5) კრებამ განიხილა ზუგდიდისა და სენაკის თავად-აზნაურთა მოხსენება ქართულის ენის შესახებ სამეგრელოს სკოლებსა და ეკლესიებში. მომხსენებელნი სამართლიანად თხოულობდნენ ქართულს ენას ერთგანაც და მეორეგანაც. კრებამ ერთხმად მოიწონა წინადადება და დაადგინა, შესაფერი შუამდგომლობა აღძრას ჯერ სინოდში და მერე ხელმწიფე იმპერატორთან. ამ საგნის შესახებ დასაბუთებული რეფერატი იყო წაკითხული კრებაზე, ბევრი საფუძვლიანი და მჭევრმეტყველური სიტყვა იქნა წარმოთქმული, რომელთაც ხანგრძლივის ტაშის ცემით აჯილდოვებდა საზოგადოება. 6) ამ გვარისავე თვისებისა იყო შემდეგი შუამდგომლობის აღძვრა: საშუალო სასწავლებლებთან გაიხსნას მესამე მოსამზადებელი განყოფილება, სადაც ბავშვებს მხოლოთ ქართულის ენის ცოდნით იღებდენ, და უმცროს მოსამზადებელ განყოფილებაში საგნებს ქართულად ასწავლიდენ. 7) დიდი საზოგადო მნიშვნელობა აქვს შუამდგომლობას იმის შესახებ, რომ ახლად გაწვეულნი ჩვენებური ჯარისკაცები კავკასიის სამხედრო ოლქში დასტოვონ. მკითხველს ახსოვდება, უეჭველია, გაზეთებში დაბეჭდილი ამბები, თუ რა საცოდავ მდგომარეობაში იმყოფებიან ჩვენებური ჯარის კაცები ჩრდილოეთის ქალაქებში: მუდამ ავადმყოფობენ და უმრავლესობა ვერ უძლებს სასტიკს ჰავას და კვდება...

უნდა მოვიხსენიოთ შემდეგი დამახასიათებელი თვისებაც კრებებისა. მაშინ, როდესაც ტფილისის კრებაზე ქართულს სიტყვას წამლადაც ვერ გაიგონებდი ადამიანი, ქუთაისში ხშირად გესმოდათ ქართული ლაპარაკი. იქ მოხსენებაც კი ქართულად იყო, რაიც სრულიად წარმოუდგენელია ტფილისის კრებისათვის...

სრულებით არა გვგონია, რომ ქუთაისის თავად-აზნაურობა მოკლებულია წოდებრივობას. მასში ჯერ კიდევ ბევრი დარჩენილა წოდებრივობა, რომელიც ხშირად ისეთ ალაგას იჩენს თავს, სადაც სრულიად არ მოველოდით. არ მოველით რეფორმებს ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთაგან, მაგრამ არ შეგვიძლია, არ აღვიაროთ მათი დაწინაურება: იგინი წინ ეგებებიან დღევანდელი ცხოვრების ზოგიერთ მოთხოვნილებებს და ეს მით, რომ იმდენად მეტად მიიღებენ მონაწილეობას საერთო ცხოვრებაში, რამდენად ნაკლებ გამოიჩენენ განსაკუთრებულობას და განცალკევებას.

რითი აიხსნება ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობის შედარებითი დაწინაურება? პასუხი ადვილია და მარტივი. ქუთაისის თავად-აზნაურობა შესდგება წვრილ მემამულეთაგან, მასში დიდ ძალას შეადგენენ სხვა-და-სხვა თავისუფალ პროფესიის ადამიანები. ქუთაისის თავად-აზნაურობა მოწინავეა იმ გვარადვე, რა გვარადაც მოწინავეა და რადიკალი წვრილი ბურჟუაზია შედარებით მსხვილ ბურჟუაზიასთან.

რასაკვირველია, აქ დიდი მნიშვნელობა აქვს ქუთაისის გუბერნიის საერთო დაწინაურებასაც.

კალამი

---

*) ფაქტიურად მთლად არ დამთავრებულა ქუთაისის კრებები: დარჩა განსახილველად ორიოდე პატარა საქმე.

გადააბაროს მამასახლისს და უგულა საქმეც იმას მიანდოს. ესეთი მოქმედება კომიტეტისა საზოგადოებამ არ მოიწონა და ამიტომ უარი განაცხადა გაწერილ ფულის გარდახდაზე. მამასახლისმა ხელ-ახლად შეჰკრიბა საზოგადოება და გააცნო საქმის ვითარება, მაგრამ საზოგადოებამ დიდი უარი განაცხადა და ითხოვა შენობის აგება საჯარო ვაჭრობით გაცემულიყო კერძო პირზე და არა მამასახლისზედ. საქმე დღესაც აწეწილია და შეჩერებული.

მიმდინარე წელს უნდა მოხდეს ჩვენის სოფლის თანამდებობის პირთა ახალი არჩევანი, რაიც დიდს აურ-ზაურსა და არეულობას გამოიწვევს ჩვეულებისამებრ. დაიწყება თუ არა არჩევნები, თითოეული სოფელი და თითოეული გვარი წამოაყენებს სამამასახლისოდ კანდიდატს, რომელიც უსათუოდ მაღალი და სქელი უნდა იყოს. სხვა თვისებას იმას არ უძებნიან; დაბალი, ტან მორჩილი კაცი მამასახლისად არ აირჩევა, რაც უნდ შეგნებული და გამოსადეგი აღმოჩნდეს. ყველა სცდილობს თავის კანდიდატის დაყენებას. ხშირად იმარჯვებს ის გვარი, რომელიც უფრო მრავალ-რიცხოვანია და დახელოვნებული ჩხუბში.

სანტარ ისრითელი.

ვარდისუბანი (კახეთი). ამ სოფლის სახელისა არაფერი სცხია. კაცმა რომ დაიაროს მისი უსწორ-მასწორო დაღვიან-ტალახიანი (აგდარში) გზები და უბნები, სადაც შიგ ეზოში ბევრგან შეჰხვდება კრამიტის საწვავ ქარხნებს, იტყვის, ვარდის მაგიერ ეკლის უბანი უნდა ერქვასო. კიდევ კარგი, რომ ეს სახელი მაინც შერჩენია. ვარდისუბანი თელავის გვერდითაა გაშენებული, რომლის სიახლოვით სარგებლობენ მცხოვრებნი სხვა-და-სხვა სანოვაგის და ნაწარმოების გაყიდვით და დღე-დღეულად ხელს იცვლიან, ქალაქის სიახლოვე დიდ შეღავათს აძლევს ცხოვრების უღლის გაწევაში; თორემ თუ ეს არა, მაშინ ხომ უფრო ძირს დაეცემოდა, რადგან ადგილ-მამული სოფლელთ მეტად მოკლებიათ, რისთვისაც მცხოვრებნი შორს სოფლებში მიდიან და იქ ამუშავებენ მიწას.

როგორც „ცნობის ფურცელში" (№ 2108) იყო აღნიშნული, ამ სოფლის მიწები მიუზომეს თელავში მდგომ მე-5 კავკასიის მსროლელთა ბატალიონის ჯარის კაცთ სასროლად. დასახელებული ადგილი იწყება სოფ. კურდღელაურიდან და სოფ. ვარდისუბნის და გულგულის მიწებს ესაზღვრება. სიგრძით ადგილი ასე 200 დესეტინამდე იქნება. მოხმარებული ნაწილად სანახავია და აქაურებს ეკუთვნით; დათესილიც ბლომადაა. თუმცა მთელი ადგილი არ დაიჭირებათ სასროლად, მაგრამ შეუძლებელია მუშაობა სროლის დროს, რადგან ტყვია დიდ მანძილზე მიდის, მერე ეხლა, როცა გლეხი-კაცი სულ მინდორში იმყოფება. თუმცა დაზომვის უმალ მიწის ყველა პატრონიც მოიწვიეს და დაათვალიერეს ზარალი, მაგრამ მიღებული ფული მიწის მოსავალს ვერ აუვნებდა. ამას გარდა ახალდაბა-გულგულის გზაც იკეტებოდა მარტო სროლის დროს. ამ გზით ორ სოფლის მცხოვრებთა გარდა კიდევ მხრიდანაც დაიარებიან. ამისათვის სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ აწ, როგორც დარწმუნებით გაუგიათ ჩვენ სოფლელებს, ჯარის-კაცთ ამ ადგილისთვის თავი დაუნებებიათ.

№.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

16 მაისი.

სოფია. მთავრობასა და ნაწევრებს კონსტანტინეპოლის მისიისა მაინც და მაინც დიდი იმედი არა აქვთ. ამბობენ, ჯერ არა ოფიციალურად შეეცდებიან საქმის ვითარების გამორკვევას კონსტანტინეპოლში. ფიქრობენ, ნაწევრნი პორტას მაკედონელთა დასამშვიდებლად ურჩევს, მიაწოდოს მაკედონელებს ადგილობრივ მართვა-გამგეობის სამსახურში და მაკედონია ახალ ოლქებად დაჰყოს ერთვნების მიხედვით. მოსამსახურენი ოსმალოთა უნდა ამოარჩიოს იმ მაკედონელთაგან, რომელნიც ბოლგარიის სახელმწიფო სამსახურში არიან.

მინსკი. ჩრდილოეთ-დასავლეთის მხრის არყის ქარხნების პატრონთა კრებამ დაადგინა, დაარსოს ურთ-ერთ დამზღვევი საზოგადოება მინსკისა, ვილნოსი, გროდნოსი, მოგილევისა და ვიტებსკის გუბერნიებისათვის.

ოდესსა. მევენახეობისა და მეღვინეობის ოდესის კომიტეტმა დაადგინა იშუამდგომლოს იმის შესახებ, რომ ნება მიეცეს დრო-გამოშვებით გამართოს ყოველ წლივ მეღვინეობის სრულიად რუსეთის გამოფენები. გამოფენები უნდა გაიმართოს ხოლმე იმპერიის დიდ ქალაქებში. პირველი გამოფენა გაიმართება მომავალ წელს, მარტს, მოსკოვში, შემდეგ ვარშავას, რიგას, დონის როსტოვს და ოდესაში.

ბელოსტოკი. საბჭომ გადასდო 30,000 მანეთი საკომერციო სასწავლებლის შენობის ასაგებად და 10,000 მანეთი გიმნაზიისა და კოლტეჯის ასაგებად.

სლავიანსკი. ავადმყოფ ებრაელებს ნება მიეცათ სამკურნალოდ წავიდნენ სლავიანსკის წყლებზე. სლავიანსკი იმ ადგილთა რიცხვს ეკუთვნის, სადაც ებრაელთ ცხოვრება აკრძალული აქვთ.

მიტავა. პეტერბურგის იუბილეის აღსანიშნავად „მიტავის რუსების საკრებულო" ჰმართავს დიდ დღესასწაულს.

კრემენჩუგი. გამოვიდა პირველი ნომერი „Спр. Листка Крем. отд. Полт. общ. сель. хоз." გაზეთი თვეში ორჯელ გამოვა.

იოკოჰამა. სეულში მყოფი იაპონიის ელჩი ჩინამპოში წავიდა. ელჩმა უნდა გაიცნოს საქმის ვითარება ფუჯუში.

სანტ-იაგო (ჩილი). იკიკეში რვა კაცი გახდა შავი ჭირით ავად, 5 გარდაიცვალა.

პეტერბურგი. გაიხსნა ტროიცკის ხიდი და დაიწყო საიუბილეო დღესასწაულები. სენატის მოედანზე, ხიდთან, გამართული იყო ფარდული, სადაც მოვიდა ელჩები. აქ შეიკრიბა სამღვდელოება და მოვიდა იამბურგის ეპისკოპოსი ანტონი. იქვე იდგა პოლკიც, პეტრე დიდის დროს ტანისამოსში გამოწყობილი. შეიკრიბა დიდ-ძალი ხალხი, დეპუტაციები, ჯარის კაცნი, მინისტრები, სადიპლომატო კორპუსი, დიდი მთავრები. დილის თერთმეტ საათზე მობრძანდნენ ხელმწიფე-იმპერატორი, დედოფალი და ხელმწიფე-მემკვიდრე. ეპისკოპოსმა აკურთხა ხიდი. გაისმა ზარების ხმა ყველა ეკლესიიდან. ხელმწიფე-იმპერატორმა ხელი დააჭირა ნიშანს, მოძრავი ნაწილი ხიდისა მოქმედებაში მოვიდა და მეორე ნაპირას შეუერთდა. დედოფალმა გასჭრა ორი ლენტი და ლიტანიაზე მათ უდიდებულესობათ და სხვებმა გაიარეს ხიდზე, რომელსაც ეპისკოპოსმა წმ. წყალი ასხურა. გაიარეს რა ხიდი, მათი უდიდებულესობანი შევიდნენ კარავში. აქ ქალაქის მოურავმა მიართვა მედლები და ალბომები ფოტოგრაფიულის სურათებით. შემდეგ მათი უდიდებულესობანი და მათი უმაღლესობანი ეტლებით პეტრე დიდის ძეგლისაკენ წავიდნენ; ხალხი „ურა"-ს ძახილით ეგებებოდა.

ამავე დროს პეტრე დიდის სახლიდან დიდის ამბით გამოასვენეს წმ. ხატი მაცხოვრისა და მიასვენეს ისაკის ტაძარში, სადაც მიტროპოლიტმა ანტონიმ წირვა გადაიხადა; წირვის შემდეგ ხატი პეტრე დიდის ძეგლისაკენ წაასვენეს. ძეგლთან სამღვდელოება დადგა, ამაღლებულს ადგილზე გვარდიის ჯარების მემუსიკენი და მგალობელთა გუნდი მოთავსდნენ; მეფის კარავთან — ქალაქის საბჭოს ხმოსნები. მისავალ გზის აქეთ-იქით მხარეს მოსწავლე ქალები და მრავალი ხალხი იდგა; თავ-თავის ადგილას სადღესასწაულოდ გამოწყობილი ჯარები იდგნენ. პირველ საათზე ძეგლთან მოვიდნენ უმაღლესნი პირნი, რომელთაც ქალაქის მოურავი ეგებებოდა. მიტროპოლიტმა ანტონიმ პარაკლისი გადაიხადა. მეფის სადღეგრძელოს დროს ზარების რეკვა შეიქნა და მდინარე ნევაზე ჩამწკრივებულ გემებმა სალამის ნიშნად ზარბაზნები გაისროლეს. შემდეგ სამღვდელოება ისაკის ტაძარში დაბრუნდა, წმ. ხატი მაცხოვრისა ტროიცკის ხიდით ისევ პეტრე დიდის სახლში მიასვენეს. ქალაქის მოურავმა უმაღლეს პირთ მედლები მიართვა. გაისმა საიუბილეო კანტატას ხმები და ჰიმნი; ყოველის მხრიდან „ურა"-ს გაიძახოდნენ. ჯარები ცერემონიალის მარშით ჩაატარეს. ქალაქის წარმომადგენელნი პეტრე-პავლეს ტაძრისაკენ წავიდნენ; აქ პეტრე დიდის საფლავთან ლოცვა მოისმინეს და საფლავზე საიუბილეო მედალი დადეს.

17 მაისი

პეტერბურგი. თექვსმეტ მაისს ხელმწიფე იმპერატორს წარუდგნენ სამხედრო დეპუტაციები, რომელნიც ჩამოვიდნენ სხვა-და-სხვა ქალაქებიდან საიუბილეოდ. მიხაილოვის მანეჟში გამართეს სადილი იმ სამხედრო პირებისთვის, რომელნიც იღებენ მონაწილეობას იუბილეში, სადილის შემდეგ კი გაიმართა წარმოდგენა. სადილზე მოვიდა დიდი მთავარი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე; მას მიეგება ქალაქის თავი; დიდმა მთავარმა ჩაუარა მოსადილეებს და ადღეგრძელა ხელმწიფე იმპერატორი. დამსწრენი ამ სადღეგრძელოს „ურა"-ს ძახილით მიეგებნენ.—ხუთშაბათს, 15 მაისს ხელმწიფე იმპერატორმა ულანების მანეჟში მიმართა ჯარის-კაცთ შემდეგის სიტყვებით: „გმადლობ, სასახელო სამსახურისათვის. დარწმუნებული ვარ, რომ შემდეგშიაც ულანები შეასრულებენ თავის სამსახურს იმგვარისავე გულმოდგინებით, როგორც ასრულებდნენ ამას მათი სახელოვანი წინაპრები. გსვამ ულანის პოლკის ლეიბ-გვარდიის სადღეგრძელოს და გუსურვებ აღყვავებას. ღმერთმა გადღეგრძელოთ. კიდევ ერთხელ გიცხადებთ მადლობას დღევანდელ მშვენიერ პარადისათვის. მშვიდობით, ძმებო!" აფიცერთა საკრებულოში მისმა იმპერატორებით უდიდებულესობამ სთქვა: „ამ რაზმის შეფის, ხელმწიფე-იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასულის მონდობილობით, გმადლობთ, ბატონებო, სტუმართ-მოყვარეობისათვის. ვისურვებ თქვენთვის სრულ გამარჯვებას და აჰყვავებას ვუსურვებ თქვენ საკრებულოს, რომლის ახლად გახსნას ჩვენ თქვენთან ერთად დავესწარით დღეს. ჩემის სახელით ვმადლობ როგორც წინანდელ, ისე ეხლანდელ ულანთ ერთგულ სამსახურისათვის და მჯერა, რომ ეხლანდელი და მომავალი შთამომავლობა იმავ პატიოსნებითა და ამაყობით ატარებენ ულანთა მუნდირს, როგორც უტარებიათ. ღმერთმა ადღეგრძელოს მისი უდიდებულესობის ლეიბ-გვარდიის ულანის რაზმი და ყველა ულანები."

პრინცს ლიუდოვიკ ნაპოლეონს ებოძა ორდენი ანდრია პირველ-წოდებულისა.

არხანგელსკი პეტრე დიდის სადღესასწაულოდ მორთულ სახლთან 16 მაისს გუბერნატორისა, ბრიგადის უფროსისა, მთავრობის წარმომადგენელთა, სასწავლებელთა დირექტორებისა, მოსწავლეთა და მრავალის ხალხის თანადასწრებით გადაიხადეს სამადლობელი პარაკლისი. ხალხს დაურიგეს პეტრე დიდის სურათები. ქალაქის საბჭოში გაიმართა სადღესასწაულო აქტი ქალაქის სასწავლებელთა მოსწავლეებისა. ათასობით ბავშვები ოთხის გემით წავიდნენ ნოვო-დვინსკის ციხისაკენ.

ვოლოგდა. თეოდორე სტრატილატის ეკკლესიაში პეტრე დიდის სახლთან წირვა გადაიხადა ყოვლად-სამღვდელო ალექსიმ. დაესწრნენ გუბერნიის უფროსნი, წარმომადგენელნი ქალაქისა, ერობისა და სასწავლებლებისა, მოსწავლენი და მრავალი საზოგადოება.

კონსტანტინეპოლი. ბოლგარიის მთავრობა ცდილობს, რომ როგორმე ხელი შეუშალოს მრავალ-რიცხოვან დატუსაღებას პროვინციაში. ოსმალოების სიტყვით დატუსაღების მიზანია, რომ ბოლო მოუღონ ამით კომიტეტების მოქმედებას; ამასთან აუცილებელია, რომ უცაბედად დატუსაღებულ იქნან უდანაშაულონიც.—ოსმალოების სიტყვით, უსკიუბის ვილაეტში დაჭერილია ჯერ-ჯერობით 47 ალბანელთა მოთავე, მოწინააღმდეგე რეფორმებისა.

კონსტანტინეპოლი. ბოლგარიის კაბინეტმა სრულიად დააკმაყოფილა იილდიზ-კიოსკი და პორტა.— ხმები დადის, რომ აზრად აქვთ რედიფების მეორე დივიზიის მობილიზაცია, რომ გააძლიერონ ბოლგარიის საზღვარზე მდგარი ჯარები და ამით ბოლო მოუღონ ბოლგარიის რაზმების უწესობას.

ბერლინი. „ბერლინერ ტაგებლატს" ატყობინებენ თეირანიდან, რომ მოხდა ინგლის-სპარსეთის პირობისა რატიფიკაციების გაცვლა-გამოცვლა.

პეტერბურგი. ხელმწიფე-იმპერატორმა უმაღლესად დაამტკიცა უწმინდესი სინოდის მოხსენება იმის შესახებ, რომ იქმნენ ელისავეტგრადის ეპისკოპოსად ნოვომირგოროდელი ეპისკოპოსი მემმონი, ბალტის ეპისკოპოსი კირილი ნოვომირგოროდის ეპისკოპოსად და მინსკის სასულიერო სემინარიის რექტორი არხიმანდრიტი ტიხონი—ბალტის ეპისკოპოსად.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

განცხადებანი

იძლევა ქირით

სახლები.

ზემო სართულში ოთხი ოთახი სამზარეულოთი, სამი აივანი აქვს და საზოგადო სამრეცხაო. შუა სართულში: სამი ოთახი, სამზარეულო, საკუჭნაო. ძირითა სართულში: 4 ოთახი, სამზარეულო. შეიძლება ცალ-ცალკეც. ახლად შეკეთებულია.

მერვე ნაწილი, არსენალის ქუჩა № 8. იკითხეთ სახლის პატრონი. (5—90—1)

ვარდისფერი
ბროლისებური საპონი
№ 4711

ამ საპონში ბევრი გლიცერინია.

რადგან ბევრი ქაფი იცის, მიტომ
ხაირათიანია.

ვარდის საუცხოვო
სუნნელება აქვს.

აი თვისებანი, რომელნიც საუკეთესოდ ხდის ამ საპონს.

ფერდ. მიულგენსი

კოლოკოლნაია № 4711 კელნსა და რიგაში.

(მც. 2.—8)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ. სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდები სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არა ღებულობს. (0—53)

მცხეთაში იყიდება

იაფად და შეღავათიანის პირობებით ნაჭრებად დაყოფილი სააგარაკო ადგილები, რკინის გზის სადგურის მახლობლად. ფულის გადახდა მყიდველს შეეძლება სამის წლის განმავლობაში. დაწვრილებით პირობების გაგება შეიძლება რკინის გზის ტფილისის სადგურის პირველ კლასის ბუფეტში ყოველ დღე.

გასტატე ჩხარტიშვილი
(6—85—3)

4 მანეთი და 50 კაპ.

ღირს ყოველდღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი"

კვირაში ორის სურათებიანის დამატებით 1 მაისიდან წლის დამლევამდე.

სასტუმრო „ავრორა"

მიხეილის პროსპექტზე, ვარანცოვის ძეგლთან.

ეს საუცხოვოდ მოწყობილი სასტუმრო ნომრებით, ყვავილიანის ბაღით, რესტორანითა და ცალკე საოჯახო-სასადილო-ვახშმო კაბინეთებით, 26 აპრილიდან შევიძინე და გავხსენი ახლად. მაქვს ევროპიულ-ადგილობრივი საჭმელ-სასმელები. სადილი: 50 კ.—2 კერძი, ჭიქა არაყი, ღვინო და ფინჯანი ყავა; 70 კ.—3 კერძით; 1 მ.—4 კერძი და 1/2 ბოთლი ღვინით. ლუდი ჭიქით. ფასები ყველაფერზე ხელ მისაწვდომია. ღვინოები 30 კაპეიკიდან, ოთახები ძლიერ დაკლებულ ფასებში.

(6—86—5) პატრონი სასტუმროსი ექვთიმე გ. კვაჭაძე

Дозв. ценз. Тифлисъ, 17 мая, 1903 г. ელექტრონის სტამბა წ. ბ. გამ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)